№ 250 ნოემბერი 24, პარასკევი 1889 ნოემბერი 24, პარასკევი № 250

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 65 | 1 . . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურთა ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—9)

ტფილისი, 23 ნოემბერი

შესაძლოა განა კაცი თავის თავზედ სულ არაფერსა ჰნაღვლობდეს, არაფერსა ჰზრუნავდეს, ღვთის ანაბრობაზედ მიეგდოს ყველაფერი, რაც-კი მისთვისვე თავში საცემია და საჭირ-ბოროტო, და მაინც იოლად მიდიოდეს ამ წუთი-სოფლის ბრუნვასა და ტრიალში? სხვა ქვეყანაში სადმე კაცმა რომ ეს იკითხოს, არა გვგონია ამაზედ პასუხად „ჰო“ მიიღოს. პირ-იქით, გაოცებულნი შემოაჭყიტებენ თვალს ამის გამომკითხავსა იმის ნიშნად, ხომ არ გაგიჟებულა ეს ვიღაც ოხერიაო. ეს რა საკითხია? განა ამას კითხვა უნდა-ღაო? სხვა ქვეყანაში ეს ისე გააოცებს კაცს, როგორც ისა, რომ კაცმა იკითხოს: დღისით დღეა და ღამით ღამე, თუ არაო. ეს სხვა ქვეყანაში და ჩვენში-კი სულ სხვაა. აქ, ჩვენში ყველაფერი საკითხავია. ასე უცნაურს ბედზეა გაჩენილი ქართველი: ყველაფერი საკითხავი გახდომია, ისიც-კი, რომ მე ისა ვარ, რაც გამაჩინა ღმერთმა, თუ არა?

აშკარაა, რაც ამ წერილის თავში ვიკითხეთ, ის ჩვენში უქმი საკითხი არ არის და ყოვლად შესაწყნარებელია მით უფრო, რომ ჩვენ, ქართველები ამ შემთხვევაში თითით საჩვენებელი მაგალითნი ვართ. კაცი რომ ფხიზელის თვალით დაგვაკვირდეს, შეუძლებელია არ შეჰნიშნოს, რომ ქვეყანაზედ ერთად-ერთი მაგალითი ქართველები არიან, რომელნიც „ვითა ყვავილნი მინდვრისანი და ფრინველნი ზეცისანი“ არცა ჰხვნენ, არცა სთესვენ, ესე იგი, არაფერს ჰფიქრობენ, არაფერს ჰნაღვლობენ და იოლად-კი მიდიან.

ასე უნაღვლოდ ყოფნა, როცა გარს ამდენი სანაღვლელია, ასე გულ-მიგდებით და ღამბლად ხეტიალი, როცა ფეხ-მაგრად და მედგრად სვლაა საჭირო, ესე უსაგნოდ ჯდება, როცა გარს ჰდუღს და გადმოდის ათასი საჭირ-ბოროტო, ათასი ავ-კარგი ქვეყნისა, სწორედ ღვთის რაღაც რისხვაა, ღვთის რაღაც წყრომაა, ჩვენს თავზედ მოვლენილი. ყოველივე ეს აინუნშიაც არ მოგვდის და იმით ვნუგეშობთ, რომ მაინც ხომ ვცხოვრობთ, ვცოცხლობთო, სული ჯერ ხომ არ ამოგვხდომია და მადლობა ღმერთსაო. ვაი ამისთანა სიცოცხლეს! ვაი ამისთანა ცხოვრებას! ეს სიცოცხლე-კი არ არის, სიცოცხლის გაბათილებაა, წაწყმედაა, სულით და ხორცით დაგუწმაწებაა, ადამიანობის გათახსირებაა, ცოცხალ-მკვდრობაა, მოშლაა და დარღვევა ყოველისფრისა, რითაც-კი კაცი ჰკაცობს, ადამიანი ადამიანობს და ერი ერობს.

მადლობა ღმერთსაო! ნუ თუ მართლა მადლობა ღმერთსა, რომ ასეთი «ამათ ამაოებათა» და „უქმობა უქმობათა“ შექმენით ჩვენს გარეშემო. მაღლა ავიხედავთ და ნათელი ჩვენთვის ბნელია, ძირს დავიხედავთ და ბნელი უფრო ბნელია. აღარც სიცილისთვისა გვაქვს გული, აღარც ტირილისათვის ცრემლი. ხელი და ფეხი მოქმედებისა თითქო გაგვიშეშდაო, შეგნებას თითქო შეაწყდა მართულები მოძრაობისა, ყველა შეიბოჭა, შეიკრა, შეჩერდა და ყველაზედ უარესი უბედურება ის არის, რომ ამისთანა ყოფაში ჩაცვივნულნი მაინც ვიძახით: მადლობა ღმერთსა, რომ ჯერ კიდევ სული მაინც გვიდგაო, სული არ ამოგვხდომია და ვცხოვრობთო.

სხვა არა იყოს-რა, აბა ერთი ამავ ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია წაიკითხეთ ახალსოფლიდამ და გვითხარით: გვიდგა-ღა სული? სული ამომხდარი არა გვაქვს? ვარგივართ-ღა რაშიმე? გული გვიძგერს რისთვისმე-ღა? განა მართალი არ უთქვამს მაზრის უფროსს თ. ჯანდიერს ქართველებისათვის: ასე დაცემული და დაბრიყვებული როგორა ხართ? რა ღვთის წყრომაა თქვენი, რომ თქვენს კარებზედ გძარცვავენ, გკლავენ და თქვენ დედაკაცებივითა ხართო?

ესეც თქვენი „იოლად წასვლა“? ესეც თქვენი „სული ჯერ არ ამოგვხდომიაო“!..

## ახალი ამბავი

*** ბ-ნმა ბ. ბებურიშვილმა შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს წიგნი: «Историческое изображенiе Грузiи въ политическомъ, церковномъ и учебномъ ея состоянiи». დაბეჭდილი პეტერბურგს 1802 წელში.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უძღვნის შემომწირველს.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დრამატიულ საზოგადოების მმართველობა უმორჩილესად სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურს შესწიროს რაიმე სათეატრო ნივთი, ან ავეჯი ხსენებულს საზოგადოებას, მიჰმართოს „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას, რომელიც გარდასცემს მმართველობის წევრს ვ. ა. სულხანიშვილს.

*** იგივე მმართველობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მადლობას ესწირავთ «წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას», კ-ნა ნ. ჩოლაყაშვილისას და ბ-ნს ნ. ხიზანაშვილს, რომელთაც ამ მოკლე ხანში „საზოგადოებას“ შემოსწირეს სხვა-და-სხვა სათეატრო ნივთიო.

*** ტფილისის სამუსიკო საზოგადოების დარბაზში პარასკევს, 24 ნოემბერს, დანიშნულია მეორე სამუსიკო საღამო.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 1,000 მან. გადაეცა გამოფენის გამგებელთათვის, რათა ამ ფულით ნივთები ეყიდნათ და დაესაჩუქრებინათ ზოგიერთი ექსპონენტი. ეხლა, როგორც გაეიგეთ, ამ გვარის ფასიანის ნივთებით უნდა დაასაჩუქრონ 27 კაცი, რომელთა შორას ორი ქართველია, ქურთიაშვილი და კობიაშვილი, და დანარჩენნი-კი დაღესტანელნი არიან.

*** გუშინ-წინ, 22 ნოემბერს, ფორკატის საოპერეტო დასს დანიშნული ჰქონდა წარმოსადგენად ორ-მოქმედებიანი კომიკური ოპერა „მშვენიერი გალატეია“ და ინდოელების წარმოდგენა. „გალატეიამ“ ვერ ჩაიარა კარგად, რადგან, ქ-ნ რატმიროვის მაგიერ, მილიუტინისა თამაშობდა, რომელსაც, თუმცა კარგი ხმა აქვს, შეხედულობა და გარეგნობა სულ არ შესწევს ამისთანა როლების თამაშობას. ინდოელებმა ხომ სულ ვერ მოაწონეს თავი საზოგადოებას და უბრალო თვალთ-მაქცნი აღმოჩნდნენ. იმათი ადგილი უფრო ცირკშია, გაწვრთნილ სპილოებთან ერთად, და გვიკვირს ფორკატიმ თეატრის სცენაზედ რად გამოსჭიმა!?

*** სუხუმი: აქეთ დიდი სიცივე და ყინვები იყო. ღვინის მოსავალი მეტად მცირე გვქონდა. ყინვებმა გაა-

## ფელეტონი

### ნიკოლოზ ბარათაშვილი

და

### მისი პოეზია

(შემდეგი *)

ძალიან საყურადღებოა, როგორა ჰყავს წარმოდგენილი ნ. ბარათაშვილს თავისი ტოლი და მეგობარი. თავის მეგობარს პოეტი ადარებს უდაბნოში მდგარს ტაძარსა, სიწმინდისა და ნათელის მფენელს გარშემო; ამ ტაძრის ლამპარი ციურის სხივით უთბობს პოეტს „გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით“. ეს ლექსი იმდენად მაღალ-აზრიანია და მშვენიერი თავის ფორმით, რომ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ აქ ერთი ნაწილი მაინც.

კპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოთ მდგარი,
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი,
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი.

ასეთის სიღრმით შეგნებულს სიყვარულს უფრო ალაზათებს და ამაღლებს მისი ზოგადი დანიშნულება და ხასიათი. არა კმარა, რომ კაცი მხოლოდ პირადად დასტკბეს ამ გრძნობითა, არამედ, პოეტის გამოხატულობით, იგი უნდა იყოს საშუალება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საფეხური ნამდვილის ადამიანურისა და საზოგადოებრივის ცხოვრებისა. აი აქ არის უკანასკნელი და უმაღლესი საფეხური სიყვარულისა. ბარათაშვილის შეხედულობით ერთმანეთის მოყვარულნი უნდა:

ერთად შესხივებულნი, შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს,
არეს ავსებდნენ სიამით მცენარეთ განმაცხოველებლად,
იყვნენ მარადის, მარადის სოფლისა გამთბუნებლად.

აი ასეთი საოცარია გრძნობა, რომელიც სწამს ჩვენს პოეტს და რომლის გამოც სამართლიანად კითხულობს: „ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?“ მართლა-და მთელ დედამიწის ზურგზედ ბევრი არ გამოვა პოეტი, რომ ასე ღრმად შეეგნოს და დაეხატა ეს გრძნობა.

თუმცა სიყვარული წმინდა და მაღალი გრძნობაა, მაგრამ იგი ექვემდებარება სხვა უფრო მაღალ გრძნობას. ეს მეორე გრძნობა გახლავთ სიყვარული მოძმესი და ზრუნვა მისთვის, შეთვისება რომელისამე რწმუნებისა და დაცვა მისი სიკვდილამდე. ჩვენი პოეტიც ჰფიქრობს ამ საგნების გამო და შეეხება კიდეც არა ნაკლების აღტაცებით.

მართალია, პოეტი ჰფიქრობს, რომ ამ წუთი-სოფელში ყოველივე წუთიერია და ცვალებადი („ბულბული ვარდზედ“); მართალია, მღელვარე ცხოვრება უმეტესად უფრო ისე აქვს წარმოდგენილი, ვითარცა ამაოება, რომლისთვისაც თითქმის არა ღირს ზრუნვა; მართალია, იგი სიბრალულით მოიხსენიებს იმ დიდებულთ ამა სოფლისას, იმ მეფეებს, რომელნიც, პოეტის სიტყვით, „აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..“ მართალია, ნაპოლეონის მოქმედება და დიდება, იმ ნაპოლეონისა, რომელსაც ოდესმე ჰმორჩილობდა მთელი ევროპა, მხოლოდ წარმავალი ამაოება ჰგონია; ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ისეთი მგრძნობიარე გულის პატრონი, როგორიც იყო ბარათაშვილი, ვერ დაიკრეფავდა გულზედ ხელებს და ვერ დააშოშმანებდა თავისს სინიდისს იმ აზრით, რომ ყოველივე ამ ცხოვრებაში ამაოებაა და წუთიერიო. არა, ამ გვარი თავის გამართლება არა სჯერა ბარათაშვილისთანა დიდ-ბუნებოვანს ადამიანს. აკი ამიტომაც იგი არა დგება უკან. მართალია, ბევრ გვარ უსწორ-მასწორობას ეხედავ გარშემოვო, გვეუბნება პოეტი:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

ჩვენი პოეტი ჯერ კიდევ ძალიან ყმაწვილი იყო, როცა უკვე იგრძნო თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე. მას აქეთ, რაკი გაიცნობს ცხოვრებას, რაღაცა უცხო ხმა სდევნის („ხმა იდუმალი“). აქვე საჭიროა დავუმატოთ, რომ ეს „ხმა იდუმალი“ არის ხვედრი ყველა ღრმა ბუნების პატრონთა; ამ გვარნი კაცნი მალე მიხვდებიან ხოლმე, რომ ჩვენსა და ცხოვრების შორის სუფევს რაღაცა კავშირი, რომელიც ბევრ გვარ მსხვერპლს მოითხოვს ჩვენგანაო. ამიტომაც იგინი აღგზნებულნი არიან და მოუსვენრად შესცქერიან თავის მომავალს. თუმცა ჩვენ პოეტს ჯერ კიდევ კარგად გამორკვეული არა აქვს, რას ჰნიშნავს ეს იდუმალი და უცნაური ხმა, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენ შეგვიძლიან მივხვდეთ, რომ პოეტს უკვე ჰქენჯნის სინიდისი უსაქმურობის გამო; მისი ჰაბუკი სისხლი სდუღს და თხოულობს მოძრაობასა და მოქმედებას. „ხმა იდუმალი“ არის წინამორბედი იმ საოცარის ქმნილებისა, რომელიც უკეთესი მარგალიტია პოეტის ნაწერებში და რომელიც ხელისხელ საგოგმანებია ყოველის ქართველისათვის. ჩვენ სახეში გვაქვს, რასაკვირველია, ლექსი „ჩემს მერანს“. ეს ლექსი თავის შინაარსით და ნამდვილის პოეტურის ალმაფრენით იმდენად შესანიშნავია, რომ ჰღირს უძღვნას კაცმა საკუთარი წერილი, რათა დაწვრილებით შეეხოს ყოველ იმის სტრიქონს, ყოველ სიტყვასა, და დასტკბეს იმისის ღირსებითა და შვენებით. ხოლო ჩვენ ამ ჟამად, ჩვენის წერილის ხასიათის მიხედვით, მოკლედ შევეხებით. ზემოხსენებულს ლექსში

*) იხ. „ივერია“ 249.

ფუქა იზაბელას ვაზი. ეხლა-კი საამური დარები დადგა.

*** **პატარძეული:** 8 გიორგობის თთვის ღამეს გასტეხეს დუქანი მიხაო—ძისა და გაიტანეს 53 მან.

*** **დიღომი:** სხვა-და-სხვა უბედურებასთან ერთი ახალი უბედურებაც გვეწვია დიღმელებს: ჯერ ისევ ზაფხულში გაჩნდა საქონლის ჭირი, მაგრამ, ღვთით, მალე დაგვანება თავი. აი ეხლა-კი ისევ ხელ-მეორედ შემოუტია ამ უბედურებამ სოფელს და ლამის სულ მთლად ხელი აგვაღებინოს საქონელზედ. სალ-სალამათი საქონელი უეცრად ავადა ხდება და ოთხი-ხუთის დღის განმავლობაში ეს ჭირი თან იტანს საქონელს. ღონისძიება ამ ჭირის წინაალმდეგ არა მოგვეპოვება-რა. ვსხედვართ და გულ-ხელ დაკრეფილი შევყურებთ საქონლის ტანჯვას და ჩვენც იმათთან ვიტანჯებით. გვტანჯავს ჯერ პირუტყვის ცოდვა და მერე ის აზრი, რომ ამათის დახოცვით გვეცლება ხელიდგან ნუგეში ჩვენის კეთილდღეობისა. კარგი იქნებოდა, რომ ყურადღებას მოგვაქცევდნენ, შეგვიბრალებდნენ, ქალაქიდგან ბეითალს მოგვაშველებდნენ და დაგვიხსნიდნენ დიდის გაჭირებისაგან...

*** 21 ნოემბერს პოლიციის მე-7 ნაწილში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის ბოგუცკის სადგომიდგან რიგის მოქალაქეს რობერტ ლეონგარ რუბინს გაუტანია ორი მამაკაცის პალტო და ორი წუღა რეზინის კალოში, 110 მანეთად ღირებული. დამნაშავე დაჭერილია და გამომძიებელს გადაეცა.

## ორი ერთად

(ახალ-სოფლიდამ მოწერილი ამბავი)

ნოემბრის 19, საღამოს ოთხ საათზედ, მოხდა შემაძრწუნებელი კაცის-კვლა, ორისა ერთად. 19 ნოემბერს ახალ-სოფელში მცხოვრებელთ ალექსი ყორბესაშვილს და ისაკ აზრიაშვილს წაეღოთ სოფელს ხაშმს საფქვავი დადიანის წისქვილში. პირველს წაეყვანა თან თავისი პატარა ძმა ზაქარა (10 წლისა) და მეორეს თავისი ცოლის ძმა ალექსი პოხრიძე (17 წლისა), რომლებისთვისაც ხარები გამოეტანებინათ შინა და დაებარებინათ, დილაზე ადრე გადმორეკეთო. ამ ორ ბიჭს წამოესხათ რვა უღელი ხარი. პირდაპირ გზაზედ—წალმიანზედ, რომ ამოუყვანიათ, ესრედ წოდებულ ნატბეურასთან დახვედრიან ავაზაკები და შეუბრუნებიათ მარცხნივ, აუხვევიათ თვალები ორივესთვის და დიდისთვის შეუკრავთ ხელებიც შოლტით, აუცილებიათ გზისთვის, შეუყვანიათ ტყიანში და დაუშენიათ თავში ჯოხი, შეუყრიათ ხანჯალი მუცელში და მოუკლავთ ჯერ დიდი. მერე პატარა მიეყვანათ, მკვდრის ფეხებთან მოეკვეცინებინათ, შემოეკრათ მარჯვენა საფეთქელში და ტვინი გადმოესხმევინათ. ეხლაც, როცა ამ ამბავსა გწერთ, დიდი პირ-ქვე გდია ხელ-შეკრული და თვალ-ახვეული და მეორეც მოკლული ზედ გადახვეული არის.

20 ნოემბერს რაკი ხარები არ გადმორეკეს წისქვილში, მოსაფქვავენი წამოსულიყვნენ მოსაკითხად და რაკი არ იყვნენ შინა, წასულიყვნენ თ. კ. ჩოლაყაშვილთანა და ენახათ იმასთან სამი ხარი, რომლებიც მუღანლოელ მწყემსებს მიერეკნათ. ხარების პატრონი მაშინვე გამოქანებულიყო ახალ-სოფლის მამასახლისთან გამოსაცხადებლად. მამასახლისს იმ ღამესვე გაეგზავნა რვა კაცი და განთიადისას გარეკა კომლზედ კაცი მოსაძებნელად. წალმიანში ერთ კაცს ეპოვნა ორი ბავშვი, მკვდრები ერთმანეთზედ დაწყობილნი. იქ მოგროვილიყვნენ სხვანიცა და მამასახლისს ეცნობებინა კ. ჩოლაყაშვილისთვის. მამასახლისი იმ დღესვე წავიდა ტფილისში მაზრის უფროსთან გამოსაცხადებლად. მაზრის უფროსს მაშინვე გამოეგზავნა ყარაულები და სართიჭალის ბოქაული. თითონაც მობძანდა 22 ნოემბერს პირდაპირ წალმიანში. მაზრის უფროსს დახვდნენ ახალ-სოფლელები კაცი და დედაკაცი, მახლობელ სოფლების მამასახლისები რამდენისამე კაცით, მუღანლოს მწყემსები და მამასახლისი რვაოდე კაცით. მუღანლოს მამასახლისს უფროსმა საყვედური უბძანა იმაზედ, რომ ვერ ასრულებ მონდობილებას და შენს თანამდებობასაო. შემდეგ ქართველებს უსაყვედურა, რომ ასე დაცემული და დაბრიყვებული როგორა ხართ, რა ღვთის წყრომაა თქვენი, რომ თქვენს კარებზედ გძარცვავენ, გკლავენ თათრები და თქვენ დედაკაცებივითა ხართო. ამაზედ ქართველებმა უპასუხეს, რომ ჩვენ მთავრობისა გვეფიქრება და გვეშინიანო. შემდეგ დაათვალიერა კვალი, საიდგანაც ამოებრუნებინათ ის ბიჭები, და მივადექით საზარლად დახოცილთა გვამებს. მაზრის უფროსმა დაუძახა მუღანლოელებსა, ქართველებიც გარს ეხვიენ, და ჰბრძანა: «ყველა კაცს, რჯულიანსა და ურჯულოს, აქვს გრძნობა და სინიდისი. რა არის ესეთი საზიზღარი ამბავი, სირცხვილი არ არის თქვენთვისაო?!» ამას შემდეგ თითონაც და იქ მყოფმა ხალხმაც თათარმა და ქრისტიანმა ყველამ ტირილი დაიწყო, თათრებმა უპასუხეს, რომ ეს უბედურება განგებ მომხდარა ჩვენს დასასჯელად და შესარცხვენადაო, ე. ი. ჩვენის მტრების საქმეაო. შემდეგ მიბრძანდა მანდილოსნებთანა და უბრძანა: „თქვენ წადით შინა, რას იზამთ, ჭირს გაძლება უნდა. ამათსავით მოვკვდე მეცა, თუ ამათი მკვლელები ვერ ამოვაჩინოვო. მთავრობა და კანონი ისე მოეპყრობა იმათ, როგორც ისინი ამ ბავშვებს მოჰპყრობიანო. ხვალ მოვლენ გამომძიებელი და ექიმი, შეამოწმებენ და შეგიძლიანთ წესიერად მიწას მიაბაროთ მიცვალებულებიო.

ყველა დამსწრენი იმ აზრისანი არიან, რომ მუღანლოელების მეტი ამას ვერავინ იზამდაო, უცხო კაცი არც მოჰკლავდა ამ ბავშვებსა და არც თვალებს აუხვევდაო, მაგრამ რაკი ახალ-სოფლელები და მუღანლოელები ერთმანეთსა სცნობენ, იმიტომ ხარების წართმევას არ დასჯერებიან და დაუხოცნიათ კიდეცაო. მოხუცებულნი ამბობენ, რომ ბევრი გვინახავს დახოცილნი ყაჩაღებისგან, მაგრამ ასე საცოდავად-კი არას დროსაო.

ამ დღეებშიაც არ იშლიან მუღანლოელი მწყემსები დახვედრას გზაში და ძარცვას მესაფქვავეებისას და ტყეში გამვლელ ხალხისას. ამავე მაზრის უფროსთან იჩივლეს მარტყოფელებმა და ახალ-სოფლელებმა, რომელთაც მიჰქონდათ საფქვავი, დახვედრიან მუღანლოელი მწყემსები და ურმები გადაუბრუნებიათ, ტომრები მირს ჩამოუყრიათ, ზოგნი გაუძარცვავთ. ასეთს უბედურებასა და შეწუხებაში ვართ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი დღემდე მუღანლოელ თათრებისაგან და შემდეგისთვის-კი იმედი დამყარებული გვაქვს ჩვენს პატივცემულ მაზრის პატრონზედ, ბ-ნ ჯანდიერზედ, თუ გვიშველის, ის გვიშველის, იმას ვებრალებით გულით.

გ. ღ—ლი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ბოლოს დროს ინგლისმა ძალიან დაიმკვიდრა სპარსეთში. დღითი-დღე აშკარადა სჩანს, რომ ინგლისის გავლენა ძლიერდება და ფეხს იდგამს ამ რუსეთის მოსაზღვრე ქვეყანაში. ამ გარემოებამ რუსული გაზეთები აალაპარაკა და საბაასოდ გამოიწვია. „Москов. Вѣд."-ი ჩვეულებრივის თავის მოწონებით გაიძახოდა ამას წინად, რომ სპარსეთი, თუნდა ჩვენს მტრებს მიემხროს კიდეც, ვერას დაგვაკლებს, რადგან სამხედრო ძლიერებით სრულიად უშიშარია და მარტო დეკორაციობას თუ გასწევსო. ეხლა „С.-Петерб. Вѣд."-ი სრულიად სამართლიანად უარჰყოფს ამ თავ-მოწონებით გამოწვეულს ბაქიაობას და ამბობს, რომ სპარსეთს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო.

რუსეთსა და ინგლისს შორის რომ ომი ასტყდესო, ამბობს ეს გაზეთი: რაღა თქმა უნდა, ჩვენის ჯარის მოქმედების აზრად ინდოეთის შეიქმნება. მაშინ ამ საქმისთვის დანიშნული ჯარი კასპიის ზღვით გადავიდოდა იმიერ-კასპიის მხარეში და შემდეგ ან რკინის გზით, ან ჩვეულებრივის გზებით ავღანისტანის საზღვრებს მიადგებოდა. მაშასადამე, აშკარაა, რომ ჩვენთვის ფრიად საჭიროა ხელში გვეჭიროს ის ათას-ვერსოვანი შტო, რომელიც სპარსეთის საზღვარს ჩაუდის. მარტო ეს მოსაზრება ამტკიცებს, რამდენად საჭიროა რუსეთისათვის ძლიერი გავლენა ჰქონდეს სპარსეთში, თუმცა სპარსეთი მარტო ამ მხრივ არ არის ჩვენთვის გამოსადეგი. იქ რომ ჩვენმა მტრებმა გაიდგან ფეხი და ძლიერი გავლენა დაიმკვიდრონ, ამ გავლენამ რომ დღითი დღე დაიმორჩილოს სპარსეთი პოლიტიკურადაც, ფინანსიურადაც და, დასასრულ, სამხედრო ავ-კარგიანობის მხრივაც, მაშინ სპარსეთიც ჩვენს მტრებს შუა ჩადგება. ამ სახელმწიფოს მოსაზღვრე პროვინციებიდგან უცხო სახელმწიფონი ადვილად ჩამოაგდებენ შფოთსა და ამბოხს აზიის ჩვენს ქვეშევრდომთა შორის, მით უმეტეს, რომ იმიერ-კასპიის თურქნი, ანუ ამიერ-კავკასიის თათრები ძალიან მოუსვენარნი არიან. ეს კიდევ არაფერი: შუა აზიაში ჩვენის მდგომარეობის სიმკვიდრე ძალიან შეირყევა, თუ იმ გზას, რომელიც კასპიის ზღვითა და იმიერ-კასპის მხრით მიდის და მთელს რუსეთს უერთდება, გვერდით ეყოლება რუსეთის ძლიერის მტრისაგან ძალიან დამოკიდებული სახელმწიფო. მაშინ ის რუსეთის ძლიერი მტერი თავის გავლენას გააძლიერებს კასპიის ზღვაზედაც, იმ კასპიის ზღვაზედ, რომელიც კავკასიის მთების ძირს იმყოფება და რომლის ტალღებიც რუსეთის დიდის მდინარის ვოლგას ტალღებს უერთდება.

**

ახირებულად სწერენ ჩვენი „ლიტერატორები". ჩვენს გაზეთში არა ერთხელა ყოფილა მოყვანილი, თუ რა საოცარის ჩიქორთულის ენით ებაასებიან მკითხველებს საზოგადოდ ქართული დრამატურგები და სხვანი ქართულს ენაზედ მოღვაწენი. მაგრამ გაზეთ „თეატრის" თანამშრომლების მოღვაწეობა ამ მხრივ სწორედ გასამტერებელია და საოცარზედ უსაოცრესი. ამ ახირებულმა მწერლებმა ბოლოს დროს ისეთს საგნებს მოჰკიდეს ხელი, როგორც „სამეცნიერო საფუძველია პროგრესის ისტორიისა", „კაცთა საზოგადოების განვითარება", „გლეხობის შესახებ" და სხვა ამ გვარი, იმათის თვალთა-ხედვის ისარიდგან სწორედ ცხრა მთისა და ცხრა ზღვის მანძილზედ მყოფი საგანი. დიაღ, აი, ასეთს მძიმე საგანს მოჰკიდეს ხელი და სულ უბრალო საგნებზედ ლაპარაკის დროსაც-კი ისე ერევათ ენაცა, ლოგიკაც და ცოდნაც, რომ სწორედ ბაბილონის გოდოლის აშენების დროს გამოწვეულს ენათა შერევნას მოგვაგონებს.

მაგალითებრ, თუნდა აიღეთ უკანასკნელი ნომერი „თეატრისა" (№ 41 და 42) და ოდნავ გადაათვალიერეთ. აი რას ამბობს რიშელიეს წარმოდგენაზედ ამ გაზეთის ბრძენი რეცენზენტი:

---

გამოითქვა მთელი შინაგანი ძალა პოეტისა, აქ არის შეკრებილი ერთად ის ძვირფასნი თვალნი, რომელნიც გაფანტულია აქა-იქ ყველა მის ლექსში; აქ ყოველივე აზრი, ლექსის ფორმა, მისი წყობა, ცალკე სიტყვები ისე არის შეხამებული, რომ გასაოცრად ჰმოქმედობს მკითხველზედ; როცა გადაიკითხავთ, უეჭველად იგრძნობთ რაღაც არა ჩვეულებრივს ძალას, თითქო ღვთაებას მოუბერია პოეტისთვის ყოველ გვარი ნიჭი ამ ქმნილების დასაბადებლადაო. ჩვენი მწერლობა და საზოგადოება სამართლიანად უწოდებს „მერანი"-ს ლექსს გვირგვინს, chef-d'oeuvre-ს ნ. ბარათაშვილის ყველა ნამოქმედარისას. ვიტყვით მეტსაც: მთელს მსოფლიო პოეზიაში იქნება ბევრი არ მოიპოვებოდეს ბადალი ამ ლექსისა. რა აყენებს ამ ლექსს ასე მაღლაო, იკითხავთ? ჩვენ პოეტს აქ ის აზრი აქვს გამოყვანილი, რომ ნამდვილი კაცური-კაცობა გაიზომება იმით, თუ როგორ ემსახურება კაცი იმ დედა-აზრს, რომლის დროშის ქვეშაც იმყოფება და რომლის განხორციელებაც არის იმისი აუცილებელი მოვალეობა. კაცი უნდა მედგრად ადგეს თავის აზრს და ვერავითარმა დაბრკოლებამ ვერ უნდა გადაადგმევინოს ერთს ალაგს ჩადგმული ფეხი. კიდეც ეს დაულალავი ბრძოლა შავ-ბედთან არის დასურათებული ამ შეუდარებელს ქმნილებაში! მხედარი ზის შეუპოვარს მერანზედ, მიჰქრის და ფრიალით მიაქვს თავისი დროშა. არ დაბადებულა ისეთი ძალა, რომ გადუდგეს წინ და შეაყენოს გამალებული და გააფთრებული მისი მერანი; მის „ქენებას არ აქვს საზღვარი"; იგი მიაქროლებს მხედარს, ვიდრე „გარდაატარებდეს ბედის საზღვარსა". მისი აგრეთვე შეუპოვარი და თავ-განწირული მხედარი არას გზით არ დაემონება „შავ ბედსა". მხედარი ამბობს: ვერ შემაშინებს ის აზრი, რომ მოვაკლდები ჩემს სწორთა და მეგობართაო, ველარ ვინახულებ დედმამას, ველარ „დამიტირებს სატრფო გულისა" და ბოლოს ვერც ისაო, რომ

შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის.

ეს კიდევ არაფერი. წარმოიდგინეთ, ნ. ბარათაშვილი უშიშრად ამბობს: „რაა, მოეშორდე ჩემსა მამულსა!.." მერე ვინ ამბობს ამას! ის ბარათაშვილი, რომელმაც შექმნა „ბედი ქართლისა". ეს აშკარა საბუთია იმისი, თუ რა ცეცხლი უკიდია პოეტის გულს! თავის რწმუნების, თავის იდეის დაცვას ყველაზედ მაღლა აყენებს. იმისთვის დაესთმობ ყოველსავე, ოღონდ-კი არ დაეემონო „შავ ბედსაო". „ან მომეცალე გზიდამ, გამიშვი, ან ერთმანეთს შევებნეთ და დავიხოცოთო"—აი დევიზი, რომელიც აწერია იმის მაღლა აღმართულს დროშას. სხვა რამე საშუალო არა გააჩნია-რა ჩვენს პოეტს. მიჰქრის თავ-განწირული მხედარი და იმისი შეუპოვარი მერანი და თან იმ იმედით სულდგმულობს და სცხოვრობს, რომ:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომათ მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრათ მას ჭენება თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

ჩვენ განვიხილეთ ორი უძვირფასესი გრძნობა კაცის ცხოვრებაში. ხოლო მათ გარდა ჰსუფევს კიდევ გრძნობა, რომელიც უმთავრესია ყველა გრძნობათა შორის, გვირგვინია სულისა, უკეთესი სამკაულია ყველა სამკაულს შორის. ჩვენ ვამბობთ მამულიშვილობაზედ. იდეალი მამულიშვილობისა პოეტმა გვაცოდინა თავის პოემაში „ბედი ქართლისა". ჩვენ ვიცით, რომ ეს პოემა შეეხება იმ ძნელს, შავ დროს ჩვენის ისტორიისას, როდესაც საქართველო, აოხრებული გარეგანის ძლიერის მტრის აღა-მაჰმად-ხანისაგან და უფრო დაუძლურებული შინაგანის უთანხმოებითა და გაუტანლობით, თანდათან უკან-უკან მიდის და ბოლოს ხომ სულ ჰკარგავს პოლიტიკურს თვით-მყოფელობას. ნ. ბარათაშვილმა ტყუილად არ აიღო ეს ხანა ჩვენის ცხოვრებისა, რომ დაეხატა იდეალი მამულიშვილობისა: როდის უნდა გამოჩენილიყო სიყვარული მამულისა, დიდ-სულოვანობა და სიმტკიცე ხასიათისა, თუ არ მაშინ? როდის იქნებოდა ისე საჭირო გულ-მტკივნეულობა ქვეყნისათვის, თუ არა მაშინ, როცა, ჩვენის მეორე პოეტის ვახტანგ ორბელიანის სიტყვით, «ის იყო სწორედ საქართველოსა სული ჰხდებოდა!» აი სწორედ ეს ბედ-შავი დრო აუღია პოეტს და მთელი თავის გულის ყური მიუქცევია იმ რამდენისამე ადამიანისათვის, რომელნიც არიან სრულნი წარმომადგენელნი მამულის ნამდვილის, წმინდა, უანგარო სიყვარულისა, ჭეშმარიტის მამულიშვილობისა. ესენი არიან მეფე ირაკლი II, მისი კარისკაცი სოლომონ მსაჯული და ამ უკანასკნელის მეუღლე სოფიო. სამთავეს მხურვალედ და ერთგულად უყვართ თავისი სამშობლო, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ წმინდა გრძნობითაო. ხოლო ყველაზედ წინ წამოყენებულია და უფრო ცოცხლად დახატულია სურათი მეფის ირაკლისა. პირველი მიზეზი ირაკლის წინ-წამოყენებისა გახლავსთ ის გარემოება, რომ იგი, ვითარცა მეფე, უფრო შემძლებელია „ქართლის ბედის" გადაწყვეტის საქმეში, მეორე არა მცირედი მიზეზი არის ის, რომ ირაკლი თავის ქვეყნის ცოდნით, ჭკუა-გონებითა და შორს-მჭვრეტელობით გაცილებით მაღლა სდგას დანარჩენ ორზედ. ნ. ბარათაშვილი ირაკლის დაუპირისპირებს სოლომონსა და იმის მეუღლეს და ამ დაპირისპირებით უფრო მეტი შუქი ეფინება დიდებულს სახეს ირაკლისას. აი სწორედ ამაშია, ჩვენის აზრით, დედა-ძარღვი პოემისა. მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარე-

ადგილის უქონლობა ნებას არ გვაძლევს განვაგრძოთ შენიშვნები ყოფიანის თამაშის შესახებ. ვერც სხვებს შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ 14 ნოემბრის წარმოდგენა ჩვენის ტრუპპის უფრო განვითარებულ ნიჭს სახავდა, ვიდრე ისე, ბუნებრივს და ეს არც საკვირველია, რადგან მონაწილეობას არ იღებდენ არც აბაშიძე და არც გაბუნია-ცაგარლისა...

ხომ გაიგეთ, მკითხველო, თუმცა-კი ისე ადვილ-გასაგებადაც არ არის დაწერილი! 14 ნოემბერს მოთამაშე არტისტები ბუნებრივად ნიჭიერნი-კი არ იყვნენ, უფრო ცოდნით გახდნენ განვითარებულნიო. ძალიან პატიოსანი, აბა ახლა ციტატის უკანასკნელს სიტყვაზედ ნუ მესდგებით და ბოლომდე ჩაიკითხეთ. აი რა მოსდევს:

...მაგიერათ, რა სიამოვნება და დიდი ესტეტიური კმაყოფილება იგრძნეს მაყურებლებმა, როცა მეკადინეობამ და ბეჯითობამ ერთს მხრივ და სხვა-და-სხვა ფერის ნიჭმა მეორეს მხრივ ახე რიგიანად ჩაატარეს ეს ყოვლად მდიდარი პიესა.

ეს როგორ არის: ზემოდ ნიჭი სულ არ იყო და ქვემოდ სხვა-და-სხვა ფერი ნიჭი გაჩნდა? სად დაეკარგათ ის ლოგიკის კანონი, რომ ერთსა და იმავე საგანზედ გადაწყვეტილი ჰქო და არა არ ითქმისო.

**

რეცენზენტები კიდევ ალაბად ხეირი, პოეტები უფრო საოცარი ჰყავს ამ გაზეთს. იმავ ნომრის უკანასკნელს ფურცლებზედ სამი ლექსია ერთად დაბეჭდილი ვიღაც იო-სი, ისეთი უხამსი, ისეთი უმსგავსი, რომ იმის სიმახინჯისა და სიდუხჭირის უბრალოდ გადმოცემასაც-კი ვერ შევიძლებთ, რადგან მთელი ნომერი მოუნდებოდა გაზეთისა. მოვიყვანთ მხოლოდ ერთს მაგალითს. აი მეორე ლექსის ორი ხანა:

ბავშვები რომ ბნელაშია,
მრწოლა უწყებს გულის ჭერას,
თავის შიშის გასადენად
მოუყვებიან მაღლა მღერას.

—

მეც ბაღში რამ შერკგილი,
სიბნელეში ვიმღერ ახლა;
და ეგ ხმა არ გიამოსთ,
თუ შიში არ მომეხსნა.

ამისთანა ლექსისა რა გვეთქმის, იმის მეტი, რომ თლონდაც „შერკგილი“ უთუოდ დამწერიო.

—◆◆—

# უცხოეთი

ბრაზილია. გერმანიის ერთი გაზეთი საფრანგეთს აბრალებს, რომ პარიჟის გამოფენამ დაჰლუპა იმპერატორი დონ-პედრო და ბრაზილიის იმპერიაო. გაზეთის აზრით, საფრანგეთი წინად თითონ მიდიოდა, ან ჰგზავნიდა თავის კაცებს უცხოეთში და იქ ავრცელებდა სარევოლიუციო აზრებს; ეხლა-კი გამოფენა მოიგონა, ქვეყანა მოიწვია ამ გამოფენაზე და იქ უქადაგებდა მონარხიის საწინააღმდეგო აზრებსაო. პარიჟის გამოფენაზე დაესწრო იმპერატორი დონ-პედრო და იმის იქ ყოფნაში ბრაზილიამ დაამზადა ყოველივე, რაც საჭირო იყო იმპერატორის გადასაყენებლად და რესპუბლიკის გამოსაცხადებლადაო.

— საფრანგეთში დონ-პედრო ხშირად იყო ხოლმე. ფრანგებს ძრიელაც უყვარდათ ეს იმპერატორი. სხვას ყველას უგულოდ ეპყრობოდნენ და ბრაზილიის იმპერატორს-კი მეტად თანაუგრძნობდნენ. დონ-პედრო უბრალო კაცივით იქცევა ჩვენში, მომხრეა მეცნიერებისა და მფარველია სწავლა-განათლებისაო.

სპარსეთი. სპარსეთმა თანდათან ევროპისაკენა ჰქმნა პირი და, როგორც ეტყობა, უნდა სამუდამოდ შეაქციოს ზურგი აზიურს უმეცრებას, უნდა დაადგეს ევროპიულს წესს ცხოვრებისას, შეუდგეს ვაჭრობა-აღებ-მიცემას, მრეწველობას, ხშირს მისვლა-მოსვლას ერთმანეთში და სხვ. წინად, რამდენჯერაც მოინდომა ამ გზაზე დადგომა, წინ გადაელობა შინაურივე მტერი, მეტის-მეტად შეჩვეული ძველს წესსა და რიგს. ამას გარდა ხელს უშლიდა უფულობა, სიღარიბე, არ-ცოდნა მისი, თუ რა გზით დაეღწია თავი ბარბაროსულს ყოფისათვის. სპარსეთის შაჰმა ბევრჯელ მოედო ევროპა, ნახა უკეთესი წესები, უკეთესი ცხოვრება და მოინდომა, რაც უნდა მოხდეს, ჩაეს სახელმწიფოშიაც შეეტანა ახლის სიკეთეს ევროპიულის წესების შემოღებითაო. შაჰს უნდოდა, რომ ეს საქმე რუსეთს, მის ნასწავლსა და გამოცდილს კაცებს ეტვირთნათ. საკავალერიო ჯარის გაწვრთნა მიანდო კიდეც რუსის პოლკოვნიკს კუზმინ-კარაკაევს. ბევრი სხვა საქმეც უნდოდა რუსეთისათვის მიენდო, მაგრამ ამ დროს გაჩნდა ინგლისი და იმან დაიმკვიდრა პირველობა სპარსეთში, იმან ჩაიგდო ხელში მოწყობა სპარსეთისა ევროპიულის წესით. შაჰმა ბარონ რეიტერს დაუმტკიცა: შენ დააარსე სახელმწიფო ბანკი სპარსეთშიო, შენ გაიყვანე რკინის გზები და აკეთე ყველა, რაც სასიკეთო იქნება სპარსეთისათვისაო. ამას გარდა შაჰმა მოიწვია უცხოელნი ფულის პატრონნი, ვაჭარ-მრეწველნი, სახელმწიფო კაცნი და მიანდო, მიუჩინა ყველას თავ-თავისი საქმე. პოლიციის შემოღება და გაწვრთნა ჩააბარა გამოცდილს იტალიელს გრაფს დე-მანტეფორტეს, ტელეგრაფის მართვა-გამგეობა მისცა ავსტრიელ გენერალს შინდლერს, ქვეითის ჯარის გაწვრთნა მიანდო იტალიელსავე გენერალს ანდრიინის. ერთის სიტყვით, შაჰი ყოველის ღონისძიებითა ცდილობს თავის ქვეყნის წარმატებას: უნდა მწერლობაც გააძლიეროს, სასამართლონიც უკეთესად მოაწყოს, სწავლა-განათლებაც გაავრცელოს. ყოველ ამისათვის კაცები არიან საჭირო და ამ კაცებს სპარსეთის მთავრობა ევროპიდგან იბარებს.

რუსეთისთვის დიდად სასარგებლო იქნებოდა, რომ ის ჩამდგარიყო სპარსეთში, იმას ეტვირთნა ყოველი ეს საქმე, მაგრამ რაკი რუსეთმა იმ თავითვე ყურადღება არ მიაქცია, სპარსეთმა იხვე დახავლეთ ევროპას მიჰმართა და ეხლა თითქმის სულ ინგლისის გამოცდილ კაცთა ხელშია. ამაზე სწუხან ეხლა რუსეთის გაზეთები და ჰგონებენ, რომ შეიძლება უცხოელებმა სპარსელები სულ გადაგვიბირონ და, ვინიცობაა, ინგლისმა ომი აგვიტეხა, სპარსეთიც მიიმხრონ ჩვენდა საწინააღმდეგოდაო...

ავსტრო-ვენგრია. კოლომან ტისას საქმე როგორღაც ვერ არის კარგად. ჰფიქრობენ, რომ მალე მოუნდება გადადგომა მთავარ-მინისტრობის სამსახურიდამაო. იმის მაგიერ დაინიშნება კალლაიო. ვენგრიის დეპუტატთა პალატის წინ რამდენჯერმე უწესოება მოხდა ამ ხანებში, მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ამას გარდა, ოპოზიცია ძრიელ ემუქრება კიდევ ეხლანდელს სამინისტროს და, ვიდრე არ დაამხობს ძირს, არ მოეშვებაო.

— ავსტრიის მთავარ - მინისტრს გრაფ ტააფესაც ლამის ცუდად მოუვიდეს საქმე. მისმა მოწინააღმდეგე დასმა იმედი მოიცა იმას შემდეგ, რაც მლადო-ჩეხებმა გაიმარჯვეს უკანასკნელ სასეიმო არჩევნებზედ ბოჰემიაში. ტააფეს დასი დამყარებული იყო სტარო-ჩეხებზე, ხოლო სტარო-ჩეხები ძრიელ შეთხელდნენ. ამას წინად ექვსმა სტარო-ჩეხების დეპუტატმა დაანება თავი თავის დასს და მლადო-ჩეხებს მიემხრო. საქმე ასე იყო: მლადო-ჩეხებმა ურჩიეს სეიმს, რომ იან გუსის სურათი დაედგათ სეიმში. ეს იწყინეს კონსერვატორმა—კათოლიკე ჩეხებმა. იან გუსი მწვალებელი იყო, ერეტიკოსიო და იმის სურათს რა ადგილი აქვს სეიმშიო. ეს დაიხვია მლადო-ჩეხობამ ხელზე და მთელი ჩეხია ააყაყანა. ერი ჩეხიისა ისე გაბრაზდა, ისე აღელდა, რომ ჩეხიის არისტოკრატების დასის მეთაურს თავადს შვარცენბერგს შიშის გამო ყარაულები უყენია სახლის გარშემო. ზემოხსენებულმა ექვსმა სტარო-ჩეხების დეპუტატმა იფიქრეს, ერის წინააღმდეგობა არ გამოგვადგებაო და მიემხრნენ მლადო-ჩეხებს.

საფრანგეთი. საზოგადოდ ყველა ამას ამბობს ეხლა, რომ ახალი პალატა დეპუტატებისა მეტად მშვიდობიანი, კეთილ-გონიერი ხალხია და მისი სურვილია მხოლოდ კეთილად განაგოს საქმეები, არაფრით არ ასტეხოს დავიდარაბა დასთა შორის, მოერიდოს მწვავე საგნებსა და საქმეებს და ერთმანეთის ხათრითა, თავაზითა და დაიმობით იოლად წაიღოს ბედი ქვეყნისა. ვეცადნოთ მხოლოდ საეკონომიო რეფორმები შემოვიღოთ, საქმიანობას დაეადგეთ, რიგიანი კანონები დავაწესოთო. ფლურანსი, ლეონ სე, ტირარი სულ ამას იძახიან—პრაქტიკულს კანონებს მიეაქციოთ ყურადღება; რაც სარფაა, გამოსაყენებელი, სასარგებლო, ისეთს საქმეებს მოვეკიდოთ ხელიო. ამიტომ იყო, რომ მონჟანის წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ პირველსავე კრებაზედ უარ-ჰყო პალატამ: კონსტიტუციის გადასინჯვა თიჯაა, რომელიც ცეცხლს მალე გაჩენს, მაგისთანაებს უნდა ვერიდებოდეთო, და მოერიდნენ კიდეც, თუმცა პალატის თავმჯდომარედ არჩეული ფლოკე და საზოგადოდ რადიკალების დასი დიდი მომხრეა 1875 წლის კონსტიტუციის გადახრეკისა და გადაკეთებისა. ამის შემდეგ პალატა უფრო დარწმუნდა, რომ ჩვენი საქმე კარგად წავა, ჯიბრსა და მტრობას დასთა შორის ადგილი არ ექმნებაო. დააიწყდათ, ან განგებ იუწყებდნენ, რომ პრაქტიკულს საქმეებში, საეკონომიო რეფორმების შემოღებაში უფრო მწვავე დასობა გაჩნდებოდა, რომ საეკონომიო წეს-წყობილების ცვლილება უფრო ძნელია, ვიდრე სხვა გვარი, რადგან ამ გვარს ცვლილებას ხშირად მოსდევს ერთის ჯიბის დაცალიერება და გავსება მეორისა. აი გაჩნდა კიდეც რამდენიმე პრაქტიკულის თვისების კანონ-პროექტი და პალატაც შეუდგა მათს განხილვას. პირველი პროექტი წარადგინეს სპიჩკის წარმოების წესის შეცვლის შესახებ. 1870—71 წლის ომის შემდეგ საფრანგეთში სპიჩკის წარმოება იჯარით გაიცა 17 მილიონად. ვინც იჯარით აიღო ეს საქმე, იმათს მეტს სხვას აღარავის შეეძლო სპიჩკის წარმოება. იმათაც აიღეს და თავიანთ ჯიბის გავსებას მიჰყვეს ხელი: აკეთებდნენ ცუდს სპიჩკას, ჰყიდნენ ძვირად და აძრობდნენ ტყავს ქვეყანას. სამინისტროს უნდა აერჩია სამში ერთი: ეს ეხლანდელი წესი მონოპოლიით სპიჩკის წარმოებისა კერძო კაცთა მიერ ან თვითონ მთავრობას უნდა ეტვირთნა და ან გაენთავისუფლებინა სრულიად.

ობს, რომ იმ დროს, როდესაც სოლომონსა და სოფიოს მოაქვთ თავის სამშობლოს საკურთხეველზედ შესაწირად მხოლოდ უანგარო სიყვარული მამულისა, იმავე დროს ირაკლის, გარდა ამ გრძნობისა, მოაქვს კიდევ თავისი ცოდნა, შორს-მჭვრეტელი გონება და დიდის ხნის გამოცდილება. სასწორის ერთს თეფშზედ სდგას ირაკლი, მეორეზედ სოლომონი და იმისი მეუღლე სოფიო და რომელი თეფშიც გადაიწევს, ის გადასწყვეტს სწორედ „ბედს ქართლისას“. აი ირაკლის სასწორმა გადაიწია და გადასწყვიტა „ბედი ქართლისა“. ძნელია კაცმა გამოიცნოს, რომელს უფრო თანაუგრძნობს პოეტი—ირაკლის, თუ სოლომონსა და სოფიოს. პოეტი სამთავეს თანაგრძნობით ეკიდება, რადგან მათში ჰპოვებს ერთ გვარ მაღალის გრძნობის პატრონებს, ხოლო იგი ვერ წაუვიდოდა სინამდვილეს ისტორიისას და ამ მხრით-კი ირაკლი, ვითარცა უფრო შემძლებელი ყოველისფრით, უეჭველად გამარჯვებული უნდა დარჩენილიყო. აკი გამარჯვებულიც გამოჰყავს პოეტს თავისს პოემაში.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადასწყდა „ბედი ქართლისა“, ჩვენ არ შეგვიძლიან არ დავსტკბეთ სამთავე სურათის ხილვით. ირაკლი დახატულია თანხმად ისტორიულის გადმონაცემებისა. იგი აქ არის იგივე გულადი, უშიშარი, მუდამ გამჭრიახი და მზრუნველი თავის სამშობლოსათვის; ირაკლი ჰფიქრობს მხოლოდ ქართველთ ერის სიკეთეს. თავისი არსება, თავისი მეფობა იმას არად მიაჩნია, როდესაც საქმე შეეხება საქართველოს ბედნიერებას. როდესაც მსაჯულმა იწყინა მეფის გადაწყვეტილება, ტყუილად არ უპასუხა ირაკლიმ ასე:

„მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე
თვის დიდებისთვის სისხლთა ამჩქეფე,
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელიც ზრუნავს, რომ თავის შვილი
თვის სიცოცხლეშივ დაასახლ-კაროს“.

მეტად ცოცხლად არის ნაჩვენები პოეტის მიერ ის პსიხიური წამი, როდესაც ერთის მხრით სოლომონი მოაგონებს ირაკლის მძიმე მოვალეობას ქართველთა ერის წინაშე, თუ ისე გადასწყვიტე «ბედი ქართლისა», როგორც განგიზრახავსო, და, მეორეს მხრით, როდესაც თვით ირაკლის მოაგონდება საშინელი მდგომარეობა ქვეყნისა, იმისი ამბოხება და არეულობა, იმისი, იქნება, სრული განადგურება მომავალში და ამოფხვრა დედამიწის ზურგიდამ. ირაკლი, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, არ შეიძლება ამ დროს არ ჩავარდეს საგონებელში, ჰოი-არაობის ცეცხლში. აკი იმიტომაც დიდს წუხილშია, აკი იმიტომაც ორ-ცეცხლ შუაა! ბევრის აწონ-დაწონვის შემდეგ ირაკლი, ხომ ვიცით, გადასწყვეტს ქართლის ბედს. შეიძლება ჩვენ რამეში არ დავეთანხმოთ ირაკლის, შეიძლება რაიმე შეცდომა ვიპოვოთ იმის მოქმედებაში, მაგრამ არ შეგვიძლიან უარ-ვყოთ, რომ იმისი ხელმძღვანელი ყოველ ამაში იყო მხოლოდ და მხოლოდ უანგარო სიყვარული მამულისა.

ჩვენის ფიქრით, ნ. ბარათაშვილს თავის პოემაში სხვათა შორის ისიცა ჰქონია აზრად, რომ განეთავისუფლებინა დიდებული სული ირაკლისა ყოველ იმ ჩირქისაგან, რომელიც ასე თუ ისე მოსცხო ქამთა ვითარებამ. სოლომონის სახელით ჩვენი პოეტი გვიხატავს იმ უკეთესს დასს მაშინდელ მამულიშვილებისას, რომელნიც მხოლოდ თავის ქვეყნის ფიქრით სცოცხლობდნენ, რომელნიც სულდგმულობდნენ მხოლოდ მისის ჰაერით და რომელნიც იმის დაცვისათვის მზად იყვნენ გაეწირათ ყოველივე, რაც-კი ებადათ, თვით თავისი სულიც-კი. ნამდვილი ქართული გული და ბუნებრივი ჰკუა-გონება სოლომონისა მალე იგებს, რომ ირაკლის სული საშინლად ჰშფოთავს, აღელვებულია და რაღაცა ძნელს საქმეს უმზადებს თავის ქვეყანას. ამისთვის არის მსაჯული დაღვრემილი და გულ ჩათხრობილი. როდესაც წაიკითხავთ, რას ეუბნება ეს თავ-დადებული მამულიშვილი ირაკლის და ჩაუკვირდებით იმის სიტყვებს, უთუოდ იგრძნობთ, რა დიდებისა და პატივისცემის ღირსი კაცი ყოფილა სოლომონი. სოფიო არის სრული ტიპიური წარმომადგენელი ძველ ქართველ დედაკაცისა, რომელიც ბევრს ავსა და შავ დროს შესწრობია, მაგრამ მაინც ქართველად დარჩენილა სულითა და გულით; რომელსაც გაჭირება ბევრი უნახავს, მაგრამ მაინც არ უღალატნია ქვეყნისათვის, რადგან სოფიოს სიტყვით:

თავის მამულში მას გაჭირება
სხვა-და-სხვა რიგათ ერუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიანდობს
და გულსა გულის პასუხი ესმის.

სოლომონი უამბობს თავის მეუღლეს ირაკლის გადაწყვეტილების ამბავს და მწარედ დასძენს: რაღა უნდათ ეხლა ქართველ ქალებს, გადასახლდებიან პეტრეს ქალაქში და იქ მოელით მხოლოდ „განცხრომილება, ფუფუნეულობაო“. შემცდარია მწარედ სოლომონი! ამაზედ სოფიო სწრაფად უპასუხებს:

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული
გალიაშია დატყვევებული!

ამ რამდენისამე სიტყვაში გამოხატულია სრული ხასიათი სოფიოსი: იმისის ენით ლაპარაკობს თვით დაუმახინჯებელი ბუნება. ჩვენს პოეტს უნებლიედ მოაგონდება ამ დროს თავის დროინდელი ქალი. ჰპაზა, რომ ეს ქალი ვერ გაუწევს ტოლ-ამხანაგობას იმ დიდ-ბუნებოვანს დედაკაცს ძველის დროისას, და ამიტომ ამოიკვნესა გულის ტკენით მწარედ დაღონებულმა:

«ჰჰა დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!»

(დასასრული იქნება).

ეს საქმე და ნება მიეცა ყველა მსურველთათვის თავისუფლად ეკეთებინა სპიჩკა. მთავრობამ პირველი წესი ირჩია. უყარეს კენჭი ამ საქმეს და უმეტესობამ თავისუფალი წარმოება ამჯობინა. ამ სახით მთავრობა დამარცხდა. ფინანსთა მინისტრი რუვიე კინალამ გამოეთხოვა მინისტრობას. ბოლოს, როგორც იყო, მეორე-მესამე კრებაზედ საქმე ისევ მოტრიალდა და მთავრობამ თვით იკისრა სპიჩკის წარმოება...

# დეპეშა

23 ნოემბერი

პეტერბურგი. ამ დღეებში წარუდგენენ სახელმწიფო საბჭოს იუსტიციის მიერ შემუშავებულს პროექტს ვაჭრობაში გაკოტრების თაობაზე.

„Нов. Время“ იუწყება, რომ სამკურნალო დეპარტამენტს ლაპარაკი ჰქონდა, დაეაარსოთ დროებით საფელდშერო და საბებიო კურსები იმ საპროვინციო ქალაქებში, სადაც ნაკლებად არიან ფელდშრები და ნასწავლი ბებიებიო.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ ხონთქარი მერმისს ჯერ გერმანიის იმპერატორს გადუხდის ვიზიტსა და მერე პეტერბურგსა და ვენაში წავა.

ალექსანდრია. ეგვიპტის მთავრობამ გაჰგზავნა ზანზიბარს გემი „მანსოვახი“, რომელმაც უნდა წამოიყვანოს სტენლი და ემინ-ფაშა.

ვენა. ვაჭრობათა მინისტრმა ნება დართო ბოლგარიის სესხის ბილეთები ბირჟაზე გამოიტანონ გასასყიდად.

პეტერბურგის 17 ბირჟა, ნოემბ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 54 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 150½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 10 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 247 | „ |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 247 | 55 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | 97½ | | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | 97½ | | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | 84¼ | | — | „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3½
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3½
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 “
ღორის ხორცი . . . . . „ “
„ 2 „ „ „ „

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი

**სახალხო კალენდარი**

1890 წ.

ფასი ორი შაური

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაეთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისათანავე გადაიხადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას და ტერ-სარქისოვის საკანცელარიო მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ლალაევის სახლში.

ამ დღეებშივე გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და უბის წიგნი 1890 წლისათვის.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. . . . . . . | „ | 15 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. . . . | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან . . . . . | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . | „ | 25 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . | „ | 15 |
| ვოლტერი ზ. ჭიჭინაძისა | „ | 15 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . . | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. . . . | „ | 40 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ყდით. . . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . | „ | ˙0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 0 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ მეფის ბატონიშვილის (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | ,, | 50 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სასულიერო წიგნთ-საკითხავისა» . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. . . | „ | 20 |
| ვაზის ობი . . . . . | „ | 10 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |

# ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, რთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია არ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თეითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 23-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.